

Béatrice Dansette. Récit anonyme d'un voyage à Jérusalem et au Mont Sinai. Croisades et pèlerinages. Récits, chroniques et voyages en Terre Sainte (XIIe-XIVe siècle), introduction et traduction, R. Laffont, 1997 pp. 1189-1190

„ანონიმური თხზულება ერთი მოგზაურისა იერუსალიმსა და სინას მთაზე" XV საუკუნის ბოლოს შეიქმნა. მისი ავტორი უცნობია. ტექსტიდან ჩან, რომ იგი ფრანგი პილიგრიმი, სასულიერო პირია, მას ასევე უწოდებენ რენელ ანონიმს (Anonyme de Rennes¹), რომელიც დაახლ. 1486 წელს მოგზაურობდა წმინდა მიწაზე.

ქართველების შესახებ

Les Georgiens. Ils sont la quatrième sorte de chrétiens venus de l'Orient, dits Georgiens car saint Georges est leur patron. Ils sont aux confins de la Perse et de la Syrie ; courageux, ils sont très redoutés de leurs voisins.

Ils officent comme les Grecs. Les prêtres portent une tonsure ronde et les clercs lettrés l'ont en carré. Une fois par ans, il se rendent très nombreux en procession au Saint-Sépulcre, sans payer aucun tribut au sultan ni aux Maures, entrant à Jérusalem et dans la basilique la bannière déployée. Les Maures les craignent.

Leurs femmes les accompagnent toujours, même à la bataille, armées d'arcs et de flèches comme les hommes. Au commencement d'un combat, elles se mettent à l'avant pour donner courage aux hommes².

¹ ქალაქი რენი - საფრანგეთში, ბრეტანში

² გვ, 1189.

ქართველები. ისინი არიან აღმოსავლეთიდან ჩამოსული მეოთხე ტიპის ქრისტიანები, ქართველებს³ ეძახიან იმიტომ, რომ წმინდა გიორგი მათი მფარველია. ისინი სპარსეთისა და სირიის საზღვარზე ცხოვრობენ, მამაცები არიან, მეზობლებს მათი ძალიან ეშინიათ.

ღვთისმსახურებას ბერძნების მსგავსად აღასრულებენ. მღვდლებს მრგვალი ტონზურა აქვთ და განათლებულ სასულიერო პირებს - კვადრატული. წელიწადში ერთხელ ისინი დიდი რაოდენობით პროცესიით უფლის საფლავთან მიდიან ისე, რომ არ იხდიან ბაჟს არც სულთანს, არც მავრებს და იერუსალიმში და ბაზილიკაში გაშლილი დროშებით შედიან. მავრებს მათი ეშინიათ.

ქალები მათ მუდამ თან ახლავთ, ომშიც კი, მშვილდ-ისრებით შეიარაღებულნი, მამაკაცების მსგავსად. ბრძოლის დაწყებისას ისინი წინ გამოდიან, რათა სიმამაცე შემატონ მამაკაცებს.

•

Il y a entre eux et les chrétiens arméniens une mortelle inimitié. Ils ont les mêmes croyances que les Grecs. Ils possèdent au Saint-Sepulcre le mont du Calvaire, qu'ils ont anlevé de force aux Arméniens et où Notre-Seigneur fut mis en croix, ainsi quel le bas du Calvaire appelé Golghota où à présent il y a une chapelle dans la quelle fut entrée Godefroy de Bouillon; on dit qu'à cet endroit, après le Deluge, on trouva la tete d'Adam. De meme, ils ont entre les monts de Judée et Jérusalem l'église Sainte-Croix, à l'emplacement d'un des arbres dont le bois servit à faire la croix de Notre-Seigneur⁴.

მათსა და ქრისტიან სომხებს შორის სასიკვდილო მტრობაა. მათ იგივე რწმენა აქვთ, რაც ბერძნებს. მათ ეკუთვნით უფლის საფლავის გოლგოთას მთა, რომელიც მათ

³ Georgiens

⁴ გვ. 1190.

ძალით წაართვეს სომხებს, სადაც უფალი ჯვარს ეცვა და ახლა არის სამრეკლო, რომელშიც გოდფრუა ბუიონელი შემოვიდა. ამბობენ, რომ ამ ადგილას წარღვნის შემდეგ ადამის თავი აღმოაჩინეს. ასევე მათ აქვთ იუდეასა და იერუსალიმის მთას შორის წმინდა ჯვრის ეკლესია, ერთი-ერთი ხის ადგილას სწორედ ამ ხისგან უფლის ჯვარი გამოთალეს.

სომხების შესახებ

Les Arméniens⁵. Ils représentent la troisième sorte de chrétiens et sont venus du quartier d'Antioche. Ils élisent un évêque parmi eux qu'ils nomment catholicos. Ils manifestent un grand respect envers le pape et le siège de Rome. Ils célèbrent la messe avec du pain rond et non levé comme les Latins, et ils sont plus prêt de notre foi que les Maronites ; toutefois, ils sont hérétiques en plusieurs point.

En premier lieu, ils disent qu'on ne doit pas célébrer le corps de Jésus-Christ le jour de sa Nativité, mais que l'on doit jeûner, car, disent-ils, on rompt le jeûne en célébrant la messe. C'est pour cette raison qu'ils ne célèbrent la messe que le dimanche pendant le carême ; quand ils consacrent le pain et le vin en corps et sang du Seigneur dans le calice, ils n'y mettent point d'eau. Ils célèbrent la messe en langues vulgaire, si bien que les femmes et le peuple comprennent⁶.

სომხები. ისინი მესამე ტიპის ქრისტიანებს წარმოადგენენ და ანტიოქიის ოლქიდან ჩამოვიდნენ. ისინი თავისი წრიდან ირჩევენ ეპისკოპოსს, რომელსაც *კათოლოკოსს* უწოდებენ. ისინი დი პატივს სცემენ პაპს და რომის საყდარს. მესას მრგვალი, უფუარი პურით ადავლენენ, ლათინების მსგავსად და ისინი უფრო ახლოს

⁵ სომხები იყოფოდნენ კათოლიკე სომხებად, რომლებიც რომის უნიას შეუერთდნენ 1441 წლიდან და სქიზმატიკოსი სომხები, რომლებიც მონოფიზიტური ეკლესიის ჯგუფს მიეკუთვნებიან.

⁶ გვ. 1189.

არიან ჩვენს რწმნასთან, ვიდრე მარონიტები. თუმცა ისინი ერეტიკოსები არიან რამდენიმე თვალსაზრისით.

პირველ რიგში, ამბობენ, რომ იესო ქრისტეს სხეულის აღნიშვნა არ არის საჭირო, უნდა ვიმარხულოთ, რადგან ამ წირვით ჩვენ მარხვას ვარღვევთ. სწორედ ამ მიზეზით დიდმარხვის დროს მესას მხოლოდ კვირაობით აღავლენენ. როდესაც პურს და ღვინოს, უფლის ხორცსა და სისხლს, აკურთხებენ ბარძიშში, მას წყალს არ უმატებენ. ისინი მესას ვულგარულ/საერთო ენაზე აღავლენენ, რათა ქალებმა და ხალხმა გაიგოს.

•

Ils ne croient pas à l'existence du purgatoire, ni que Dieu eut deux natures, mais ils croient qu'Il possède seulement la nature divine. Ils ne veulent jeûner en aucun de nos fêtes, ni à celle des Quatre-Temps. Mais ils jeûnent avec tant d'obstination et de l'austérité qu'ils affirment que c'est un plus grand péché de manger avec de l'huile et de boire du vin pendant leurs abstinences que de forniquer.

Ils font communier les enfants à peine âgés de deux mois.

De Pâques à la Pentecôte, le vendredi comme les autres jours, ils mangent de la viande

En sortant du Saint-Sépulcre, dans l'église, ils desservent une chapelle voutée ; ils détenaient jadis le mont Calvaire, mais plus maintenant. Hors de la ville, ils possèdent la maison de Caïphe qui est devenue l'église Saint-Sauveur où se trouve la pierre qui fut roulée devant le tombeau du Christ, comme je l'ai dit. Ils possèdent aussi la maison Sant-Ange, qui fut la maison d'Anne, et l'église Saint-Jacques-le-Majeur où il fut décapité. Le tout est situé entre la ville et le mont Sion⁷.

მათ არ სჯერათ განსაწმენდელის არსებობის და არც იმის, რომ ღმერთს ორი ბუნება ჰქონდა, მაგრამ სწამთ, რომ მას ხოლოდ ერთი ღვთაებრივი ბუნება გააჩნია. მათ

⁷ ავ. 1189.

არ სურთ იმარხულონ არცერთ ჩვენ დღესასწაულზე, არც ოთხი დროის დღესასწაულის. თუმცა ისინი მარხულობენ დიდი მონდომებით და სიმკაცრით, ამტკიცებენ, რომ ცხიმისა და ღვინის მირთმევა მარხვისას უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე მრუშობა.

ისინი აზიარებენ ისეთ ბავშვებს, რომელთაც ორი თვეც კი არ შესრულებიათ.

აღდგომიდან სულთმოფენობამდე, პარასკევობით, ისევე, როგორც სხვა დღეებში, ხორცს მიირთმევენ.

ისინი უფლის საფლავიდან გამოსვლისას ეკლესიაში, თალიანი სამლოცველოში მსახურებას ატარებენ. ოდესღაც მათ გოლგოთას მთა ეკუთვნოდათ, მაგრამ ახლა არა. ქალაქგარეთ მათ ეკუთვნით კაიაფას სახლი, რომელიც სენ-სევერის (წმინდა მხსნელის) ეკლესია გახდა, სადაც არის ქვა, რომელიც გადააგორეს ქრისტეს საფლავის წინ, როგორც ვთქვი ზემოთ. მათ ასევე ეკუთვნით სან-ანჟის (წმინდა ანგელოზის) სახლი, რომელიც წმ. ანას ეკუთვნოდა და სენ-ჟაკ დე მაჟორის (წმ. იაკობის) ეკლესია, სადაც მას თავი მოკვეთეს. ყველაფერი ქალაქსა და სიონის მთას შორის მდებარეობდა.

თარგმნა მ. ჯავახიშვილმა

ქვეყნდება პირველად

CROISADES ET PÈLERINAGES

RÉCITS, CHRONIQUES ET VOYAGES
EN TERRE SAÏNTE
XIII^e-XVII^e SIÈCLE

